საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ლიბერთი ბანკი“

„ლიბერთი ბანკის“ შენობა

„ლიბერთი ბანკი“ (სააქციო საზოგადოება), კომერციული ბანკი. დაარსდა 1988 „აგრომრეწვბანკის“ სახელწოდებით. ბანკების ნაციონალიზაციის შემდეგ, 1991 წ. 5 ნოემბრიდან, იგი საქართვ. სახელმწ. კომერც. სპეციალიზებული აგროსამრეწველო ბანკი გახდა, 1994-იდან სააქციო საზ-ბად ჩამოყალიბდა. 2002 გადაერქვა სახელი და ეწოდა „სახალხო ბანკი“, 2009-იდან კი – „ლ. ბ.“ ამავე წელს ბანკის აქციათა 91,2% შეიძინა კომპანია „ლიბერთი ინვესტმენტ ჰოლდინგ ბ. ვ-იმ“. 2017 აქციათა საკონტროლო პაკეტის (74,6%) მფლობელი გახდა ნიდერლანდების სამეფოში დაფუძნებული კომპანია „European Financial group B. V.“ (შემდგომში „Georgian Financial group B. V.“). 2021 ამ კომპანიის წილი 91,9% იყო.

2020 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალი შეადგენდა 196,3 მლნ. ლარს, მთლიანი აქტივები – 2 982 მლნ. ლარს, ხოლო საკრედიტო პორტფელი – 1733,3 მლნ. ლარს.

„ლ. ბ.“ არის ერთადერთი უნივერსალური ბანკი, რ-იც ეწევა სახელმწიფოს სოციალურად მნიშვნელოვანი თანხების (საპენსიო, იძულებით გადაადგილებულ პირთა და სხვა დახმარებები) საბანკო მომსახურებას. ბანკი საქმიანობს მხოლოდ საქართველოში და აქვს ყველაზე დიდი საცალო ქსელი, რ-იც აერთიანებს 436-ზე მეტ ფილიალს და სერვისცენტრს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

„ლ. ბ.“ არის საფრანგეთ-საქართველოს ერთობლივი საპროცესინგო ცენტრის „ჯორჯიან ქარდისა“ (Georgian Card) და თბილ. ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის აქციონერი, 1997-იდან – საერთაშ. საანგარიშგებო სისტემა „სვიფტის“ (SWIFT) წევრი, ამავე წლიდან – „ვესტერნ იუნიონის“ (Western Union) აგენტი ბანკი, 1999-იდან კი – პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორების სისტემის „იუროფეი ინტერნეიშენლის“ (EUROPAY International) ასოცირებული წევრი.